№ 242 23 ნოემბერი, პარასკევი 1866—1879 23 ნოემბერი, პარასკევი № 242

დროება

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲠᲐᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ერთი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი— 5 კაპ., პატარათი— 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შემოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდავი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

პეტერბურღი, 12 ნოემბერს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ 17 ნოემბერს ნასადილევის 3 საათზე ხელმწიფე იმპერატორი გამობრძანდა ლივადიიდამ, 11 საათზე სიმფეროპოლში იყო და შუალამეზე ლოზოვო-სებასტოპოლის გზით წაბრძანდა მოსკოვისაკენ.

პეტერბურღი, 20 ნოემბერს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა 19 ნოემბერს საღამოს 11 საათზე გამოგზავნილი მოსკოვის ღენერალ-ღუბერნატორისაგან.

„ქურსკის რკინის გზაზე მომავალი დამატებითი მატარებელი (პოეზდი), რომელზედაც იყო ხელმწიფე იმპერატორის ოჯალა, მოსამსახურეები და ნივთები, ააფეთქეს, რომლისგანაც მთელი მატარებელი გადაეარდა რელსებიდამ და ბაგაჟის ვაგონი გადაბრუნდა. იმ ადგილას, საცა ასაფეთქებელი ლაღმი იყო, ორი არშინი სიღრმე და შვიდი სიგანე ორმოარის ამოთხრილი. პოლიციამ მიაგნო იმ სახლს, საიდამაც ლაღმის მილი არის გაყვანილი. ბოროტ-მომქმედთა აღმოსაჩენად ყველა ღონის-ძიება არის მიღებული.

მოსკოვი, 20 ნოემბერს. ბუშინ ხელახლად სასწაულით გადარჩა ხელმწიფე იმპერატორი ბოროტ-განზრახ სიკვდილისაგან. როცა ხელმწიფე იმპერატორი მშვიდობით მობრძანდა მოსკოვში, როცა მისი უდიდესობა ივერიის მღვთისმშობლის ხატის წინ ლოცულობდა, საღამოს 10 საათზე, ხელმწიფის მატარებლის დამატებითი მატარებელი აფეთქეს ქურსკის სტანციიდამ სამს ვერსზედ; ბაგაჟის ვაგონი ლაღუმმა გადაისროლა განზე და დანარჩენი ვაგონებიც გადასცილდა რელსებს.

დღეს 11 საათზე კრემლის სასახლეში უნდა გამოცხადებულიყვნენ ქალაქის წარჩინებულნი პირნი; სანამ ხელმწიფე იმპერატორი გამობრძანდებოდა თავის ოთახებიდამ ზალაში, მოსკოვის თავადაზნაურთა წინამძღოლმა საყოველთაოდ გამოაცხადა ეს ამბავი, რომელმანც საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე; მაგრამ შემდეგ შეიქნა მხიარულება და აღტაცება იმის გამო, რომ ხელმწიფე მშვიდობით გადარჩა.

12 საათზე და 10 მინუტზე ხელმწიფე იმპერატორი გამობრძანდა ზალაში; იმან მიიღო ქალაქის საზოგადოებისაგან მირთმეული პურ-მარილი და შემდეგ ამ სიტყვებით მიმართა აქ დამსწრეთა:

„მე მიხაროდა თქვენი ნახვა, უფალნო, როდესაც მოვიგონებდი თქვენ ქვეშევრდომობით გრძნობათა გამოცხადებას 2 აპრილის გამოსისობით; ამ გვარიეე გრძნობა გამომიცხადეს მე რუსეთის ყველა მხრიდამ. მაგრამ გაიგებდით იმ საშეწუხარო მოვლენას, რომელიც გუშინ მოხდა. უფალმა დამფარა მე და დაიფარა ყველა, ვინც კი ჩემთან მოდიოდა მოსკოვში. მე ვზრუნავ რუსეთისათვის; მე მივანდე ჩემი თავი ბანგებასა და უფალი მფარავს. მაგრამ ბოროტის თესლი უნდა ძირიანად იქმნეს ამოფხვრილი. მე მოგმართავთ თქვენ და საზოგადოთ ყველა კეთილ-გონიერ ხალხს, რათა ეცადოთ, რომ ბოროტება ძირიანად ამოაგდოთ. მე მივმართავ ყმაწვილების მშობლებს: სიკეთისა და ჭეშმარიტების გზაზე დააყენეთ თქვენი შვილები, რათა იმათგან გამოვიდნენ რუსეთის სასარგებლო მოქმედნი და ნამდვილნი მოქალაქენი.“

ეს სიტყვები აღტაცებით მოისმინეს იქ დამსწრეთა. „ურა“ ყვირილი დიდ ხანს არ შეწყვეტილა. ბევრი სტიროდნენ.

პეტერბურღი, 19 ნოემბერს № 319-ში დაბეჭდილის ფელტონის გამო გაზითს „ბოლოსს მოუვიდა მესამე „გაფრთხილება“ და ხუთის თვით შეაჩერეს.

სამხედრო სასამართლომ მირსკის ჩამოლრჩობა და ტარხოვს 12 წლითა და 4 თვით კატორღაში გაგზავნა გარდაუწყვეტა; დანარჩენი ბრალდებულნი კი გაამართლეს.

ᲔᲚᲘᲡᲐᲕᲔᲢᲒᲠᲐᲓᲘ, 19 ნოემბერს. 15 ამ თვეს აქაურ რკინის გზის ეაგზალზე დაიჭირეს ერთი ყმაწვილი კაცი, რომელსაც საკ-ეოიჭი სავსე ჰქონდა სხვა და სხვა საწამლაგებითა და ასაფეთქ მასალებითა. ის ყმაწვილი გაიქცა ეაგზალიდამ, მაგრამ ყაზარმასთან დაიჭირეს, თუმცა იარაღი ჰქონდა და გაცხარებით იბრძოდა.

სტამბული, 18 ნოემბერს. მუხთარ-ფაშის მოკელა ალბანელებისაგან ტყუილი გამოდგა. მუხთარი ამ ქამად ბუსინიისაკენ მიდის.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 19 ნოემბერს. ბუშინ იმპერატორმა ბილელმა ინახულა თ. ბარჩაკოვი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲦᲘᲡ ᲑᲘᲠᲭᲐ, 19 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემი — —	94	25
მეორე — — — —	93	„
მესამესი — — —	94	„
მეოთხესი — — —	94	„
ალმოსავლეთის პირ. —	90	13
ალმოსავლეთის მეორე —	90	25
ალმოსავლეთის, მესამე —	„	„
ოქრო, ½ იმპერიალი —	7	84
გირაოს ფურცელი —	„	„

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან.	კაპ.
პირველი სესხის— —	232	„
მეორე სესხის — —	226	50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	25	36	პენსი
ბამბურღი — —	213	50	ცენტი
პარიჟი — — —	264	50	სანტიმი
ვენა — — —	127	25	ჰფენიგი
ქაეკასიის კერასინი — — —			

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ გვატყობინებენ, რომ ამ უკანასკნელ დროს რამდენიმე შემ-

თხვეეა ყოფილა იქ დეფტერიტისა; მაგრამ ისე სუსტათ, რომ ავათმყოფები ადვილად გადარჩენილან.

ჩვენს ქალაქში კი, მადლობა ღმერთს, ამ ჟამად ამ საძაგელ ავათმყოფობაზე თითქმის აღარა ისმი-რა.

*** Კავკასიის მთებიდამ მოვიდა ტელეგრამმა, რომ 18 ნოემბერს ღამით, ძლიერი ქარის გამო, ზოგიერთ ადგილას გზაზე თოვლი ჩამოწვა და გზა შეკრულიაო; მუშები დგანან და სწმენდენო. ბუდაურიდამ ქობის სტანციამდინ მარხილით დაიარებიანო.

წერილი რედაქტორთან

—

უფ. რედაქტორო!

ბევრი, ძრიელ ბევრი შეიძლება თქვას კაცმა შაგირდების ზნეობის დაცვის თაობაზედ, მაგრამ მე დაკმაყოფილდები ორი სიტყვით, ავხსნი უმთავრესს იმათგანს.

პირველი ის, რომ სასწავლებელში მეტად ბევრია შაგირდები, რომელნიც სკოლოვრობენ ძრიელ დაბნეულათ; ამის გამო არავითარი გავლენა არა აქვს ინსპექტიურ ზედამხედველობას. იარეთ, თუ გნებავთ, შაგირდების სადგომებში დილიდამ საღამომდისინ, თქვენი მოსელა და გასინჯვა სათითაოთ სადგომისა იქნება ისე იშვიათი, რომ მოიტანს ერთობ ცოტა სარგებლობას.

ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ თანაუგრძნოს კაცმა უ. ავტორის ჰაზრის შესახებ მეორე სასწავლებელის გახსნისა, რომელიც შეამოკლებდა შაგირდების რიცხვს ამ სასწავლებელში.

მეორეს მხრით—საჭიროა, შეძლებისადაგვარად, შეაერთონ ყველა შაგირდები ერთს ან და რამდენსამე საზოგადო სადგომებში, რომ იქონიოს კაცმა საშუალება, თუ მუდამ დღე არა, რამოდენჯერმე კვირაში მაინც, დაიაროს ყველა შაგირდები, და ამასთანავე ცალკე სადგომებზე ცხოვრების ნება მიეცეს მხოლო მაშინ, როდესაც იქნება იმედი, რომ მათ ექმნებათ სახლში შინაური ზედამხედველობა.

ამას გარდა უნდა მიემატოს შაგირდების ზედამხედველების რიცხვი, რადგანაც ერთი ინსპექტორის თანაშემწე და ორი ზედამხედველი ვერას გააკეთებენ.

ამასთანავე საჭიროა გაუმჯობესდეს მატერიალური მდგომარეობა შაგირდებისა: თუ შაგირდების მატერიალური მდგომარეობა კარგია, მაშინ მათში იქნება კეთილ-ზნეობაც და წესიერებაც: ღლით გამოუტოვებელათ ივლიან კლასში, იმის მაგიერ, რომ დარჩენ სახლში და საჭმელი ამზადონ ყველა ამხანაგებისათვის; ღამე, შემდეგ ღლიურის ჯაფისა იქმნებიან მოსვენებული ტკბილის ძილით, იმის მაგიერ, რომ სხვის ეზოებში იარონ და შეშა იპარონ გაყინული სხეულის გასათბობლათ.

უკანასკნელი უსამართლო საყვედური უ. კორრესპონდენტისა ჩემზედ: ამბობს, რომ მე მიმიტოვებია ჩემი პირ-და-პირი მოვალეობა და მომიკიდნია ხელი ბევრი გაკვეთილებისათვის, რომ გავიმსო ჯიბე ფულებით. დიაღ, სანამ სწავლა დაიწყებოდა ამ წელიწადში, მე ვაძლევდი ჩემი კანონიერი გაკვეთილებით 18-ს ბერძნულ ენაზედაც, მაგრამ, ჩემის სურვილით არ ამიღია მე ეს გაკვეთილები: ისინი მომანდო მე სასწავლებლის სამართველომ, რადგანაც სხვა არავინ იყო, რომ მიეცა გაკვეთილები ამ ენაზედ; სამართველო ცდილობდა ეშოვნა ვინმე ამ საგნის მასწავლებელი, მიიწერეს რამოდენ ჯერმე თფ. სემინარიაში, მაგრამ პასუხი არ მოდიოდა, სანამ, ბოლოს, ამ უკანასკნელ დროს უეწმინდესმა სინოდმა არ დანიშნა მასწავლებელი.

რაც შეეხება იმას, რომ ბევრ ფულებს ვიღებდი გაკვეთილებიდამ, მე მგონია, რომ ამ შენიშვნას უფრო დაკინვის ხასიათი აქვს, ვინემ ნამდვილი.

გამოიანგარიშეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, თვითონ თქვენ: მე ვიღებდი 20 მანეთს წლიურ გაკვეთილზედ, რომელიც თვეში შეადგენდა 1 მან. 66 კაპ., თითო გაკვეთილის ფასი გამოდიოდა 41 კაპ. ამ ფასად არ მისცემს გაკვეთილებს მესმე კლასის შაგირდიც. ამნაირად გაკვეთილების მიცემის მიზანი ის კი არ ყოფილა, რომ ჯიბეები ამევსო; ეს იყო მძიმე ტვირთი რომელიც უნდა ამესრულებინა, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში სასწავლებელს მიეცემოდა დიდი ვნება..

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშეწე ქ. ბროზდოვი.

სამართალი

ტატო წულუკიძის საქმე

Კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოში *).

სხდომა 18 ნოემბერს.

ერთი საათით შეწყვეტილი სხდომა ხელ-ახლა გაიხსნა 4 საათ ნახევარზე.

თავსმჯდომარის ბრძანებით სხდომის

*) „დროება“, № 240. 241.

ზალაში შემოიყვანეს ექსპერტები — უფ. პეტრე უმიკაშვილი, ტატარინ ალიევი და ალი ბურგენიძე. ეს ექსპერტები აი რისთვის იყვნენ დაბარებულნი:

15 სეკტემბერს 1878 წ. ბორის საგუსალოში დამწყვდეულმა ტიმოფეევმა წარუდგინა საგუსალოს ზედამხედველს ერთი ქართულათ დაწერილი წერილი; იმისი სიტყვით, ის წერილი იყო დაწერილი ბ. ბველესიანისაგან, რომელსაც, როგორც ის ამბობდა, მოპარა ძილის დროს. ამ წერილში ბველესიანი სთხოვს ერთს თავის ნაცნობს ბორგასანიძეს, რომ ის მალე წავიდეს სოფელს ნარეკვალში (მცხეთის ახლო) და აცნობოს იქაურ მედუქნეს, დანდუროვს, რომ თუ ვინიცობაა იმას კითხონ ჩვენგან მიყიდულ საათზე, სთქვას რომ იმას საათი არავისაგან არ უყიდნია. ამის გარდა სწერს: ტერ-თომაზოვი ჩვენ გავცარცვეთ ტატომ, პეტო ოლბელოვმა, უაზაროვმა და მე. იმ ძაღლის შვილმა ზაქარამ (ცატურიძემ) დაგველუპა. თუ ჩვენ ეს დაგვიმტკიცდა, ოთხივეს თხასავით ჩამოგვაღრჩობენ. ბეიშველეთ როგორმე ღვთის გულისათვის. ეს წერილი კი არავის აჩვენო, თორემ ხომ იცი მე ოთხნაირად შემიძლია წერა და ვიტყვი ეს ჩემი ნაწერი კი არა, თითონ შენი ნაწერი არისთქო.

ამ წერილის გარდა საქმეში იყო ბველესიანის მეორე წერილი; ის იყო უაზაროვის თხოვნით მიწერილი ერთს მის ნათესავთან და საქმისთვის ქონდა მხოლოდ ის მნიშვნელობა, რომ ამ წერილთან ექსპერტებს უნდა შეედარებიათ მეორე ბორგასანიძესთან მიწერილი, რომ შეეტყოთ ჰგავს თუ არა ბველესიანის ნამდვილი ხელი (უაზაროვის თხოვნით დაწერილი) ბორგასანიძესთან მიწერილს. ამას გარდა თითონ სასამართლოში შეუხსნეს ბველესიანს დაჯაჭვული ხელები და ექსპერტებმა კარნახობით დააწერინეს ბორგასანიძის წერილიდამ რამდენიმე ადგილი, რომ უფრო კარგათ შესძლებოდათ ბველესიანის ნამდვილი ხელის შეტყობა.

უ. ტატიევმა თავის ამხანაგების ნებართვით ილაპარაკა ყველას მაგიერ. აი ექსპერტიზას აზრი: თუმცაღა ყველა ამ წერილებში ანბანებს ერთმანეთთან დიდი მსგავსება აქვთ, მაგრამ ხელის საზოგადო ხასიათი ისეთია, რომ არ შეიძლება დარწმუნებით სთქვას კაცმა, რომ ეს წერილები ერთი და იგივე კაცისაგან იყოს დაწერილი.

პ რ ო კ ო ს ა ტ ო რ ი. რას ეძახით ხელის საზოგადო ხასიათს?

ტ ა ტ ი ე ვ ი. ხელის საზოგადო ხასია-

თი არის ანბანების ერთმანეთთან გადაბმა და იმათი საზოგადო სახე. ეს კი სხვა და სხვა ნაირათ არის ამ წერილებში. შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ერთ და იგივე კაცს (ბველესიანს) დაეწეროს ყველა ეს წერილები.

უ მ ი კ ო ვ ი. საზოგადო ხასიათის გარდა თითონ ანბანებშიაც არის განსხვავება, მაგ. იმ სტრიქონებში, რომელიც ჩვენ დავაწერინეთ აქ ბველესიანს, ასო თ არის ისეთ ნაირათ დაწერილი როგორათაც დასწერდა რუსი, რომელიც სწერს რუსულ ციფრს 0, რა საკვირველია, თავის კუდით. სხვა წერილებში კი ეს არ არის. ამის გარდა წერილებში სხვა და სხვა ნაირათ არის დაწერილი ქართული ასო შ. ერთში შ-ს კბილები აქვს როგორც ნაბეჭდში, მეორეში კი ამ კბილების მაგიერ პირ-და-პირ გასმული ხაზია.

პ რ ო კ ო ر ر ر ი. ბანა ერთ და იგივე კაცს არ შეუძლია ასო შ იხმაროს წერილში სხვა და სხვა ნაირათ, როგორც ხმარობენ რუსები ასოს т, რომელიც იწერება სხვანარათაც, როგორც რუსული ციფრი 7.

უ მ ი კ ო ვ ი. ქართული წერის ხასიათი ისეთია, რომ ძნელი წარმოსადგენია, რომ ერთმა კაცმა რომელსაც მიუჩვეია ხელი ერთნაირ წერაზე სხვა და სხვა ნაირათ დაიწყოს ამ ასოების წერა.

ტ ა ტ ი ე ვ ი. უაზაროვის წერილი და აქ ბველესიანისაგან ნაწერი კარგი ხელით არის დაწერილი, მესამე კი უფრო ცუდის ხელით.

პ რ ო კ ო ر ر ر ი. შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ერთ კაცს, იმ ორი წერილების დამწერს, შესძლებოდეს იმ მესამე წერილის დაწერაც, თუ ცუდს პირობაებში დასწერა, ე. ი. ვთქვათ, თუ სჩქარობდა, სტოლი არა ქონდა და სხ..?

ტ ა ტ ი ე ვ ი. შეიძლება.

უ მ ი კ ო ვ ი. არ შეიძლება.

პ რ ო კ ო ر ر ر ი. ბვითხარით გადაწყვეტით, არის თუ არა ეს ორი წერილი ერთ და იგივე კაცის ხელით დაწერილი?

უ მ ი კ ო ვ ი. არ არის.

ტ ა ტ ი ე ვ ი. ბადაწყვეტით არ შეიძლება ეს ითქვას.

მ ღ. ბ უ რ გ ე ნ ი ძ ე. ბარდაწყვეტით ამის თქმა არ შემიძლია.

ბ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი ს ა დ ვ ო კ ა ტ ი. უ. ტატიევო, თუ ამის თქმა გადაწყვეტით არ შეგიძლიათ, ის მაინც გვითხარით—რა უფრო საფიქრებელია: ერთი კაცის ნაწერია ეს წერილები, თუ სხვა-და-სხვასი?

ტ ა ტ ი ე ვ ი. არც ამისი თქმა შემიძლია გადაწყვეტით.

უ მ ი კ ო ვ ი. ბევრი ასოებიც სხვა-და-სხვა არიან ამ წერილებში, ხელის საზოგადო ხასიათიც სხვა-და-სხვა არის. მე ვფიქრობ, უფრო დასაჯერებელია, რომ ეს წერილები სხვა-და-სხვა კაცებისაგან იყოს დაწერილი.

ბ უ რ გ ე ნ ი ძ ე. ბადაწყვეტით არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს წერილები ერთი კაცის დაწერილია.

პ რ ო კ ო ر ر ر ი. რადგანაც ამ ექსპერტებმა გადაწყვეტით არა გვითხრეს-რა, მე ვსთხოვ სასამართლოს გამომძიებელისაგან მოწოდებულის ექსპერტების ჩვენება წაიკითხოთ.

სეკრეტარმა წაიკითხა ეს ჩვენება. ბამომძიებელთან ექსპერტათ ყოფილან დაბარებულნი: დიმიტრი ბაქრაძე, სერგეი მესხი, პეტრე უმიკაშვილი და ტერ-ბაბრიელანი. ამ ექსპერტობაზე ბაქრაძე არ გამოცხადებულა, უმიკაშვილს თავისი თავი ვერ უცვნია რიგიან ექსპერტათ და ჩვენება არ მიუცია. სხვებს კი უჩვენებიათ ისე, როგორც ამ სასამართლოში მოწოდებულ ექსპერტებს.

პ რ ო კ ო ر ر ر ი. ამ პროტოკოლიდამ სჩანს, რომ ერთს ექსპერტს უმიკაშვილს ექსპერტობიდამ ხელი აუღია, რადგანაც ვერ უცვნია თავი ამ საქმის მცოდნედ. მე ვსთხოვ სასამართლოს შეიტყოს—თუ ის უმიკაშვილი ეს უმიკოვია, რომელიც დღეს აქ ექსპერტად არის გამოწვეული.

უ მ ი კ ო ვ ი. დიახ, მე ვარ. ეხლაც ვიმეორებ, რომ მე არა ვარ ნამდვილი ექსპერტი ამ საქმეში. მე ქართულ ენას ვასწავლი გიმნაზიაში და არა ქართულ წერას; ამისათვის წერის მასწავლებელი არის საჭირო.

პ რ ო კ ო ر ر ر ი. ბთხოვთ პროტოკოლში შეიტანოთ ეს განცხადება.

ბ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი ს ა დ ვ ო კ ა ტ ი. უ. ტატიევო, თქვენ რას ასწავლით?

ტ ა ტ ი ე ვ ი. ბიმილეტიკას და ქართულ საეკლესიო წიგნებს.

პ რ ო კ ო ر ر ر ი. მაშ არც თქვენ ასწავლით წერას? თქვენ როგორ გრძნობთ თქვენ თავს: ხართ თქვენ უმიკაშვილზე უფრო დახელოვნებული ამ წერილების გარჩევაში?

ტ ა ტ ი ე ვ ი. მე იმდენიც არა ვარ (იცინიან).

ამით გათავდა სასამართლოს გამოძიება. პუბლიკა დიდის ღელვით დაემზადა სასამართლოს პრენიების მოსასმენელათ. თავმჯდომარემ სიტყვა მისცა პროკურორს. მოგვყავს შემოკლებით ეს სიტყვა:

პ რ ო კ ო ر ر ر ი ს ს ი ტ ყ ვ ა. 14 იანვარს 1878 ამ სასამართლოში გაარჩიეს ორი ძმა უუზანოვების საქმე; იმათ სასამართლომ სიკვდილი [illegible] გარდაუწყვეტა და კიდევ [illegible] რამდენიმე თვის შემდეგ იმათ დასჯისა თფილისში გავრცელდა ხმა, რომ ბორში არიან ტუსაღები, რომლებიც ამბობენო, რომ უუზანოვები დანაშაულები არ იყვენენო. საზოგადოება ძლიერ შეაწუხა ამ ჭორმა. დღეს უნდა დაინახოს ყოველმა კაცმა, რომ ეს მართლა ჭორია და უუზანოვები კანონიერად იყვენენ დასჯილნი.

უუზანოვები 20 დეკემბერს 1877 წელსა დაიარაღებულნი დაეცნენ თფილისის მოხელეს ტერ-თომაზოვს. იმათ გაცარცვეს ის და დასჭრეს ერთი პოლიციის სალდათი დუკანოვი, რომელიც ამ ჭრილობით მოკვდა მეორე დღესვე. იმათთან, როგორც იყო მაშინ ცნობილი მოწმების და თითონ დამარცხებულისაგან, იყვენენ 4 სხვა ავაზაკები. თითონ ტერ-თომაზოვი და მოწამე ჭელიძე ამტკიცებენ ამას.

ვინ იყვენენ ეს 4 სხვა?

რვა თვის შემდეგ ამ შემთხვევისა ერთმა ტუსაღმა ცატურიძემ, უთხრა სატუსაღოს უმფროსს, რომ ბველესიანმა მიანბო ტერ-თომაზოვის გაცარცვის ამბავიო და დანაშაულები ამ საქმეში ტატო წულუკიძე, თითონ ის, პეტო ორბელოვი და უაზაროვი არიანო. ამის შემდეგ მეორე არესტანტმა ტიმოფეევმა წარუდგინა მთავრობას ის წერილი, რომელზედაც იყო ლაპარაკი. ამ წერილში ნაჩვენებ დუქნებში მართლა იპოვნეს ტერ-თომაზოვის საათი. მედუქნე დანდუროვმა აჩვენა: სახელი და გვარი არ ვიცი იმათი, ვისგანაც ვიყიდე, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ ოთხნი იყვენენ... ერთი მათგანი იყო მაღალი, თეთრ-ჩოხიანი და თავზე ბოხოხი ეხურა... როცა ტატო წულუკიძე დაანახეს იმას, დანდუროვმა იცნო იმ კაცათ, რომლისგანაც საათი იყიდა... საათი, მართლა, ტერ-თომაზოვი გამოჩნდა.

ვინ მისცა წულუკიძეს ეს საათი? მოიპარა სადმე, თუ გაცარცვა ვინმე? მოპარვას არ კი იკადრებს ტატო წულუკიძე. ეს პატარა ბოროტ-მოქმედებაა და ასე ძირს არ დაეცემა წულუკიძე. იმან თითონ გაცარცვა ტერ-თომაზოვი.

ჩვენ გვაქვს ცატურიძის ჩვენება. ბველესიანმა უამბა იმას სულ-ყველაფერი. ჩვენ გვაქვს ტიმოფეევისაგან მოტანილი ბველესიანისვე წერილი. ამ ორის საშუალებით ჩვენ ყველაფერი ვიცით დამნაშავეებზე. ორმა ექსპერტებმა გვაჩვენეს, რომ ამ წერილების ხელი ერთმანერთს გავს, თუ რამე განსხვავებაა ეს

იმიტომ, რომ ბეელებიანს, როგორც ის ამბობს იმ წერილში, ოთხ-ნაირათ შეუძლია წერა.

დამნაშავე წულუკიძე ამბობს, რომ 20 დეკემბერს ის არ იყო თფილისში და მაშასადამე არც ამ ავაზაკობის ჩადენა შეეძლო, მაგრამ ვინ ამბობს ამას? ყარაეი ყალბი ბილეთების მოვაჭრე, არესტანტი. წულუკიძეს 15 სისხლის სამართლიანი საქმე აქვს, ეს მეთექვსმეტეა. ის და მისი ამხანაგები სამხედრო კანონების ძალით უნდა დაისაჯოს სიკვდილით.

(დასასრული შემდეგში)

განცხადებანი

უმორჩილესად ვსთხოვ ყველა იმ პირებს, რომლებსაც კი უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიიდამ ნისიათ, ანუ კომისიით უეზდის ქალაქებში ანუ სხვაგან წიგნები აქვსთ წაღებული გასასყიდათ, დღეის შემდეგ იმ წიგნების ფული მე გამომიგზავნონ, რადგანაც უფ. ჩარკვიანთან თანამდებობა დავსტოვე და ყველა ის ნისიები, რაც კი ჩემს დროს გაეიდა, მე გარდმოვიღე ჩემზე და სამაგიერო უკვე გადაუხადე.

Адресъ ჩემი: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“

(5—2) ზაქარია ჭიჭინაძე

ადვოკატი

ვლადიმირ ვლადისლავის ძე მარკინ კვეიჩი გადავიდა ** აივაზოვის** სახლში სომხის ბაზარში, ფრანგების ეკკლესიის პირ-და-პირ, იმავე სახლებში, რომელშიაც იმყოფება აივაზოვის აფთიაქი.

(6—2)

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა (უპრავა) ამით აცნობებს თფილისის 1 და 2 გილდიის ვაჭრებსა, რომ, თანახმად ქალაქის რჩევის 1879 წლის 5 ნოემბრის გარდაწყვეტილებისა, ამათ ქალაქის ხაზინის სასარგებლოდ დანიშნული გილდიის მოწმობის ფული უნდა წარადგინონ ვაჭრების უპრავის (ტუბერჩესკის უპრავის) სადგომში (სომხის ბაზარი, დიდი ტალახიანი ქუჩა, ისტამანოვის სახლი).

(3—3)

უმაწვილი კაცი ამზადებს ბავშვებს პირველ და მეორე კლასისთვის. მსურველს შეუძლია თვისი ადრესი დასტოვოს „**დროების**“ რედაქციაში.

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ იმის თან-დასწრებით იქნება პირველი და უკანასკნელი ვაჭრობა (უპერეტორქოთ) შემდეგს საგნებზედ;

1). 24 ნოემბერს 1879 წელსა იქნება ვაჭრობა **ავლაბარში** მდებარე საქალაქო მიწისა, სიერცით 1890 დესიატინის, და მეორე მიწის, სიერცით 237 დესიატინის, არენდით გაცემაზედ მომავალს 1880 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდე.

2). 7 დეკემბერს ამა 1879 წელს იქნება ვაჭრობა იჯარით გაცემაზედ იმ შემოსავლის მოკრებისა, რომელიც ქალაქსა აქვს მტკვრით ძოტანილი იმ ტიეებისაგან, რომელნიც ქალაქის კუთვნილ ნაპირებზედ ჩერდებიან. ვადა ამ იჯარისა ითვლება მომავალი 1880 წლის 26 იანვრიდამ 1883 წლის 1 იანვრამდინ.

3). 7 დეკემბერს ამა 1879 წელსა იქნება ვაჭრობა იჯარით მიცემაზედ იმ ნავისა, რომელიც ქალქის ნავსადგურთან არის ვერაზე. ვადა ამ იჯარისა ითვლება ამ 1880 წლის 26 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

4). 4 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა იმ ხარჯის იჯარით გაცემაზეე, რომელსაც ქალაქში მომუშავე ფაეტონები, დროჟკები, პოეოზკები და სხვ. (იზვოზნი პრომისელ) იხდიან ქალაქის ხაზინის სასარგებლოდ. ვადა ითვლება ამ 1880 წლის 1 იანვრიდამ 1883 წლის 1 იანვრამდინ.

5). 1 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა ცხენის ხარჯის იჯარით გაცემაზედ. ვადა 1880 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

6). 5 დეკემბერს ამა 1879 წლისა იქნება ვაჭრობა ქალაქის სასწორისა და საწყაოებისა და საწყაობის შემოსავლის იჯარით გაცემაზედ. ვადა ითვლება 1880 წლის 26 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

ყველა ამ იჯარებისა და არენდების პირობების (კანდიციების) ნახვა და გაცნობა მსურველთა შეუძლიანთ ქალაქის ბამგეობის (უპრავის) კანცელარიაში მუდამ დღე, უქმ დღეებს გარდა, დილის 10 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდინ.

(13—4)

ბიბლიოგრაფიული ცნობა

პირველ-დასაწყისი კურსი რუსულის ენისა ქართველთათვის, შედგენილი ბ. კალანდარიშვილისაგან, მეექვსე გამოცემა გადასწორებული და დამატებული ი. ბოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა და ისყიდება ბრიჭუროვის წიგნის მაღაზიაში ტუკიის ხიდთან. ფასი ეგზემპლიარისა ათი შაური. მაგრამ ვინც ოცს ეგზემპლიარს ერთად იყიდის ნაღდს ფულზედ, იმას წიგნი დაეთმობა ცხარა შაურათ, ხოლო ვინც ორმოც-და-ათზე მომეტებულს წაიღებს ერთათ ნაღდსავე ფულზედ, მას ეგზემპლიარი მიეცემა ორ აბაზათ.

(15—9)

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის

ზედამხედველი კომიტეტისაგან

ზედამხედველი კომიტეტი თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა, ამა ბანკის წესდების მე-83 § ძალით, **მოიწვევს ბანკის წევრთ-დამფესებლებს უჩვეულებრივ საზოგადო კრებისათვის**, რომელიც იქნება ამა წლის **25 ნოემბერს** ბანკის სადგომში:

განსახილველი საგნები:

ბანკის წესდებაში შეტანა ერთი-ერთ პასუხის-გებისა იმ მამულებისა, რომელნიც შემდეგში გირაოდ შემოიტანებიან ბანკში, და ამის-და-გვარად შეცვლა ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლებისა.

(8—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Ноября 1879 г. Типографія Меликова. ბამომც. ს. ბელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.